

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო

საზედამხედველო კომიტეტის ვიზიტი

ბორჯომის სკრინინგის კაბინეტი

25 იანვარი 2019 წ.

ვიზიტის მიზანი: გლობალური ფონდის მხარდაჭერით მიმდინარე პროგრამის განხორციელების მიმდინარე სტატუსის შესწავლა.

ვიზიტის ამოცანები: პროგრამული ინდიკატორების განხილვა; პროგრამის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი გამოწვევების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების დასახვა.

მეთოდოლოგია:

- ✓ თანამშრომლებთან გასაუბრება;
- ✓ პროგრამის ბენეფიციარებთან გასაუბრება.

მონაწილეები:

ნიკოლოზ მირზაშვილი - პაციენტთა კავშირი, ქსს-ს წევრი, საზედამხედველო კომიტეტის წევრი

მამუკა ხითარიშვილი - სოციალური მუშაკი

მარიამ ლოლიჯაშვილი - ლაბორანტი

ნინო თაბუაშვილი - ნკტ კონსულტანტი

დავით თინიკაშვილი - მობილური ამბულატორიის მძღოლი, სოციალური მუშაკი

ბაადურ თეგიაშვილი - სოციალური მუშაკი

პროგრამის ბენეფიციარები

ირინა გრძელიძე - ქსს, აღმასრულებელი მდივანი

ნათია ხონელიძე - ქსს, ადმინისტრაციული ასისტენტი

შეხვედრის მონაწილეებს კიდევ ერთხელ მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია საზედამხედველო ვიზიტის მიზნებისა და ამოცანების შესახებ, ასევე საკოორდინაციო საბჭოსთან არსებული საზედამხედველო კომიტეტის მანდატის, ფუნქციონის და მოვალეობების შესახებ.

ბორჯომის სკრინინგ კაბინეტი მდებარეობს ბორჯომში ყოფილ პოლიკლინიკის შენობაში . კაბინეტი განთავსებულია 1 ოთახში და ფუნქციონირებს ორგანიზაციის 'ნაბიჯი მომავლისკენ" ქოლგის ქვეშ. კაბინეტი მუშაობს კვირაში ორი დღე: სამშაბათს და პარასკევს 11:00სთ–დან 15:00 საათის ჩათვლით. ადგილზე მუშაობს 2 აუთორიზ მუშაკი. მობილური ამბულატორიის ნკტ კონსულტანტი და მედდა ლაბორანტი ჩადიან გორის ოფისიდან ყოველ დღილით სამშაბათს და პარასკევს და საღამოს ბრუნდებიან უკან.

სკრინინგ კაბინეტის მუშაობის არეალია ბორჯომი, ბაკურიანი და მიმდებარე სოფლები. სკრინინგ კაბინეტში ყველა სერვისის შეთავაზება ხდება: ტესტირება, კონსულტაცია, შპრიცების და სხვა სახარჯი მასალების გაცემა. საჭიროების შემთხვევაში კაბინეტის ბენეფიციარები ჩადიან გორის ოფისში, სადაც მათ თავაზობენ FIND-ის კვლევაში ჩართვას, ფიზროსკანირებას, ექოსკოპისტის და სხვა კონსულტანტების მომსახურებას. გორში ჩასვლის შემთხვევაში ბენეფიციართა მგზავრობის ანაზღაურება ხდება ორგანიზაციის მიერ.

ოქტომბრის თვიდან კაბინეტში მიმდინარეობს PDI ინტერვენცია რისთვისაც გორიდან ბორჯომში ჩადიან პიდიია კონსულტანტი და ლაბორანტი. კაბინეტის თანამშრომლების მიერ აღინიშნა რომ PDI-ის განხორციელება შესაძლებელი გახდა მხოლოდ კაბინეტის გახსნის შემდგომ, რადგან ეს კომპონენტი მობილური ამბულატორიის მეშვეობით ვერ ხორციელდებოდა. ასევე ხაზგასმით აღინიშნა რომ PDI-ის ამოქმედებასთან ერთად გაიზარდა ბენეფიციართა რაოდენობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს კაბინეტის ფუნქციონირების მნიშვნელობას.

2018 წლის განმავლობაში ტესტირებულ პაციენტთა რაოდენობა რეგიონში შეადგენს 479 ბენეფიციარს, აქედან ტესტირება კაბინეტში ჩაუტადრდათ 215 პაციენტს. აღინიშნა, რომ გამოკვლეული ბენეფიციარებიდან გამოვლინდა 29 C ჰეპატიტით დაავადებული, 1 აივ პოზიტიური, 4 B ჰეპატიტის შემთხვევა და 4 სიფილისით დაავადებული.

თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ არ აქვთ წყვეტა სახარჯი მასალების მიწოდების თვალსაზრისით, არ გამოთქმულა პრეტანზია 1მლ შპრიცების ხარისხთან დაკავშირებით არც თანამშრომლების და არც შეხვედრაში მონაწილე ბენეფიციართა მიერ. თუმცა აღინიშნა უკმაყოფილება აივ და B ჰეპატიტის ტესტების ხარისხთან დაკავშირებით.

როგორც თანამშრომლების, ასევე ბენეფიციარების მხრიდან აღინიშნა, რომ სასურველია კაბინეტის ფუნქციონირების გაგრძელება და უფრო მეტიც სრული დატვირთვით ამოქმედება. კაბინეტის გახსნამ დიდწილად გაზარდა ბენეფიციართა ნდობა და მიმართვიანობა და ასევე ხელი შეუწყო მათი ცნობიერების დონის ამაღლებას.

შეხვედრაში მონაწილე ოთხმა ბენეფიციარმა გამოთქა სრული კმაყოფილება კაბინეტში მიღებული სერვისებით. კიდევ ერთხელ ითხოვეს, რომ გაგრძელდეს მისი მუშაობა, რადგან

მათ აქვთ შესაძლებლობა როგორც სახარჯი მასალების, ასევე კვალიფიცირებული კონსულტაციის მიღების . მათ აღნიშნეს გუნდის პროფესიონალიზმი, სანდო და მეგობრული გარემო.

ბენეფიციარებმა კმაყოფილებით აღნიშნეს ბორჯომში მეტადონით ჩანაცვლებითი პროგრამის ამოქმედების ფაქტი. ასევე აღნიშნეს, რომ პოლიციელების მხრიდან მათ არ ექმნებათ პრობლემები.

ირინა გრძელიძე

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს აღმასრულებელი მდივანი